



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება № MOH 2 23 00000188

ქ. თბილისი

24/05/2023 წელი



„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 14 თებერვლის № MOH 1 23 00000060 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მოცულობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 14 თებერვლის № MOH 1 23 00000060 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ დანართს (იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურება) დაემატოს 30-ე გრაფა შემდეგი რედაქციით:

№	კოდი	აქონდროპლაზია	პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	12
30	Q77.4	აქონდროპლაზია	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			TSH - თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრა	1
			ALT, AST, Gamma-GT, საერთო ბილირუბინის განსაზღვრა სისხლში	1
			ALP - ტუტე ფოსფატაზა განსაზღვრა სისხლში	1
			ელექტროლიტების განსაზღვრა სისხლში	1
			გლუკოზის, კალციუმის განსაზღვრა სისხლში	1
			კრეატინინის, შარდოვანას და ალბუმინის განსაზღვრა სისხლში	1
			რენტგენოგრაფია	3
			ულტრასონოგრაფია	4
			გარეგანი სუნთქვის კვლევა	1

..

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდანიანად
ელექტრონულად

